ლიტერატურული
№1, 2016
ლიტერ
112
წელი

ნათია ჯანაშია

ხალხმ ეს მოლის თოვლი

დათა: – არ თოვს!
გიგუ: – ალბათ, გვებუტება თოვლი.
დათა: – რატომ?
გიგუ: – ცუდი საქციელის გამო.
დათა: – მერცხლის
ბუდე რომ მოვშალე, იცის?
გიგუ: – ალბათ, იცის!
დათა: – ეჰ, ძალიან ვნანობ! –
შურდულით რომ დავედევნეთ ჩიტებს.
გიგუ: – ყვავილები რომ დავპუტეთ მინდვრად.
დათა: – სკოლაში რომ მოვიპარეთ ცარცი,
გიგუ: – ვაკნატუნეთ, როგორც შაქრის კვნიტა.
დათა: – ბებიას რომ ავუბურდეთ ძაფი,
გიგუ: – კატას რომ გადავაბრალეთ მერე.
დათა: – ცინდლები რომ გალიაში ჩავსვით.
გიგუ: – ბურთისთვის რომ ერთმანეთი ვცემეთ.
დათა: – ნუთუ, ყველაფერი იცის თოვლმა?
გიგუ: – იცის, იცის, დამიჯერო უნდა!
დათა: – ჩაუვლია მაშინ ზამთარს მშრალად...
გიგუ: – აღარც ციგა, აღარც თოვლის გუნდა.

მხატვარი
ანა ხვიჩია

სერგეი კოზლოვი

ეკლისქურქიანი გოჭი

ზამთარი იდგა. ისეთი ყინვები დაიჭირა, ზღარბი ცხვირსაც ვეღარ ჰყოფდა გარეთ. იჯდა სახლში, ღუმელს ხშირ-ხშირად შეშას უკეთებდა და სარკმლიდან გასცქეროდა მიდამოს. ყინვა ფანჯრის მინებს ნაირ-ნაირად ხატავდა. ზღარბიც დროდადრო ფანჯრის რაფაზე აძვრებოდა, მინას დაორთქლავდა და მერე თათით წმენდდა.

– ესეც ასეე! – იტყოდა, როცა კვლავ დაინახავდა სახლის წინ მდებარე პაწია მინდორს, კუნძსა და ნაძვს. ფანტელები მხიარულად დაფარფატებდნენ – ხან დაბლა ეშვებოდნენ, ხანაც ზევით მიქროდნენ.

ერთხელაც ზღარბმა ცხვირი მინას მიაჭყლიტა. მინის მეორე მხრიდან ზედ ცხვირის წვერზე ფიფქი დააფრინდა, მერე სუსტ ფეხებზე შედგა და თქვა:

– ზღარბო, შენ ხარ? რატომ არ გამოდიხარ ჩვენთან სათამაშოდ?

– გარეთ რომ ცივა? – უპასუხა ზღარბმა.



– რას ამბობ, სულაც არ ცივა, შეხე, როგორ დავფრინავ, – თქვა და აფრინდა კიდეც ზღარბის ცხვირიდან.

აფრინდა და დაბზრიალდა... ხან ფანჯარასთან მოფრინდებოდა, ყვიროდა – შემომხედე, შემომხედეო, ხან მინდვრის შუაგულში ფარფატებდა. მისმა შემხედვარე გაოცებულმა ზღარბმა ისე ძლიერ მიაჭყლიტა ცხვირ-პირი მინას, რომ ნესტოები გაუგანიერდა და გოჭს დაემსგავსა. ფიფქსაც მოეჩვენა, რომ ეს ზღარბი კი არა, გოჭი იყო, რომელსაც ეკლიანი ქურქი ჩაეცვა და ფანჯრიდან უყურებდა მოთამაშე ფანტელს.

– გოჭო, – დაუყვირა ფიფქმა, – გამოგარეთ, ერთად ვისეირნოთ.

„ნეტავ, ვის ეძახის?“ – გაუკვირდა ზღარბს და უფრო ძლიერ მიაჭყლიტა ცხვირი მინას, როგორმე გარეთ მყოფი გოჭი რომ დაენახა. ფიფქი დარწმუნდა, რომ ქოხში, ფანჯრის რაფაზე, ნამდვილად გოჭი იჯდა ეკლის ქურქით და ისევ შესძახა:

– გამოდი ჩვენთან სათამაშოდ, გოჭო!

– აჰა, – იფიქრა ზღარბმა, – გოჭი, ალბათ, ჩემი ფანჯრის ქვეშ ზის, თამაში არ სურს. წავალ, სახლში შემოვიპატიჟებ და ჩაით გავუმასპინძლდები.

ჩამოძვრა რაფიდან. ფეხები წითელ კაპანოებში (ბოტებში) ტუცა და კარში გავიდა.

– გოჭო, შემობრძანდი, ჩაი დავლიოთ!

– ზღარბო, – უთხრა ფიფქმა, – გოჭი, ესეს არის გაქრა. მოდი, შენ ითამაშე ჩემთან.

– არ შემიძლია, მცივა. – უპასუხა ზღარბმა და შინ შებრუნდა. ზურგს უკან კარი მიიხურა, ზღურბლთანვე წაიძრო კაპანოები და ღუმელში შეშა შეუკეთა. მერე ისევ რაფაზე აბობღდა და მინას ცხვირი მიაჭყლიტა.

– გოჭო, – ისევ დაიყვირა ფიფქმა, – დაბრუნდი? გამო რა, გარეთ, მეთამაშე!

„დაბრუნებულა“ – გაიფიქრა ზღარბმა, ისევ უკან ჩამობობღდა, ფეხები კაპანოებში ჩადგა და გარეთ გავარდა.

– გოჭო! – ყვიროდა ზღარბი, – გოჭოოოოოოო!

ქარი ქროდა. ფანტელები კვლავ მხიარულად ფარფატებდნენ. ასე გაგრძელდა საღამომდე. ზღარბი ხან კარში გამორბოდა და გოჭს ეძახდა, ხან სახლში შებრუნებული რაფაზე აძვრებოდა და ცხვირ-პირს ფანჯრის მინას მიაბჯენდა.

ფიფქისთვის სულერთი იყო, ვისთან ითამაშებდა, განუწყვეტლივ უხმობდა ხან გოჭს, რომელიც ფანჯრის რაფაზე იჯდა და ეკლის ქურქი ეცვა, ხან ზღარბს, რომელიც ხშირ-ხშირად გარეთ გამორბოდა. ბოლოს დაღამდა.

ზღარბს ძილში ჩაჰყვა დარდი იმ გოჭზე, რომელიც გარეთ იყო. ეკლის ქურქი კი ეცვა, მაგრამ, შეიძლებოდა, მაინც გაყინულიყო.

თარგმანი მარიამ წიკლაურისა

მხატვარი ლიკა გურგენიშვილი

ზანზარას და ჩუს თავგადასავალი

როგორ გაიცნეს ზანზარამ და ჩუმ ერთმანეთი

ტექსტი: ლელა ცუცქირიძის
მხატვარი იულია ნიკოგოსოვა

ჩუ მსუქანა, წყნარი, მშიშარა მოჩვენებაა. მიტოვებულ სახლში ცხოვრობს და მთელი დღე წიგნებს კითხულობს. ერთხელ უცნაური ხმა შემოესმა: სხვენში ვიღაც დადიოდა, უფრო სწორად, **და-ზან-ზა-რებ-და**!

შეშინებული ჩუ კარადის უჯრაში კი ჩაეკვეხა, მაგრამ ტაკო და ფეხები გარეთ დარჩა. ჰოდა, ვიღაცამ მოუღიტინა.
– ვაიმე, მიშველეთ, მიშვე... ჰა–ჰა–ჰაა! – თან უფრო შეეშინდა და თან სიცილი ვერ შეიკავა ჩუმ.
– ტირი თუ იცინი? – ჰკითხა ამ დროს ვიღაცამ.
– მოო... მოონსტრი ხარ?! – ენა დაება ჩუს.

– მონსტრი კი არა, დინოზავრი ვარ, – უთხრა სტუმარმა.
– დინოზავრი? – ჩუ უჯრიდან ძლივსძლივობით ამოძვრა. – და აქ... როგორ მოხვდი? რა გქვია?
– მე რა ვიცი. მარტო ის ვიცი, რომ კვერცხიდან გამოვიჩეკე და დინოზავრი ვარ.

– დინოზავრი კი არა, ზანზარა, – ჩაიბურტყუნა ჩუმ, – ისე ზანზარებდი, ლამის ჭერი ჩამოაქციე.
– კი არ ვზანზარებდი, ვცეკვავდი, – ეწყინა დინოზავრს, მაგრამ, რადგან ძალიან უნდოდა, მეგობარი ჰყოლოდა, სწრაფად დაამატა, – ჰო, რა ვიცი, თუ გინდა, ვიქნები ზანზარა.
ასე დამეგობრდნენ ზანზარა და ჩუ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია

კნუტი

იყო ერთი გოგონა. ლამაზი, ჭკვიანი, დედ-მამის შემდეგ ყველაზე მეტად ყვავილები უყვარდა.

უბრალოდ კი არ უყვარდა, სულ მათზე ზრუნავდა. დილით წამოდგებოდა, მოწესრიგდებოდა, ისაუზმებდა, მერე ყვითელვარდმოხატულ მწვანე სარწყავში ცივ-ცივ წყალს ჩაასხამდა, ჩაირბენდა რამდენიმე საფეხურს და თავის ულამაზეს ბაღში მოღიმარი დადგებოდა.

ყვავილები თითქოს გრძნობდნენ, რომ მათი მოამაგე, მოსიყვარულე გოგონა მოვიდა და აშრიალდებოდნენ.

ბაღში სხვადასხვა ფერის ვარდი, იორდასალამი, ნარგიზი ყვაოდა. ღობეების ძირას კიდევ შემორჩენილიყო ლურჯ-თვალა იები, ლამაზი ფურისულები. კუთხეში დიდი მუხა იდგა; ნელა, ბრძნულად ირხეოდა მისი ტოტები; როცა მწიფობაში შევიდოდა, ქუდებჩამოფხატული, წაბლისფერი რკოები მიწაზე ტყაპა-ტყუპით ცვიოდა. ლამაზი იყო მუხის ძირას აყვავებული კრიალა, თეთრი, მო-

მხატვარი **ნატა კუცია**

ლიკლიკე ზარებივით შროშანები. გოგონა თავს ევლებოდა თავის ყვავილებს. სათითაოდ უსხამდა წყალს და ხარობდა. მადლიერი, წყურვილმოკლული მცენარეები გოგონას საამებლად საამო სურნელს აფრქვევდნენ.

ერთ დღესაც ბაღში ჩასულ გოგონას უმწეო კნავილი შემოესმა. მიიხედ-მოიხედა და რას ხედავს, აბრდღვიალებული ბროწეულის ბუჩქის ძირას პაწაწუნა კნუტი მობუზულა, ბეწვი ყალყზე დადგომია, კუდი აპრეხია, ღია მწვანე ფერის თვალები უელავს და გამალებით კნავის.

გოგონამ სარწყავი მიდგა და სასწრაფოდ კატისაკენ გაემართა:

– ჩემო პატარავ, რა დაგემართა, რატომ კნავი ასე საცოდავად? – ჩაეკითხა.

კნუტი გოგონას აეტოტა.

– დედა დავკარგე, დედა!

– შე საცოდავო, – ჩაიმუხლა გოგომ. – ეგ რა ცუდი საქმე დაგმართნია, – კნუტი ხელში აიყვანა, გულში ჩაიკრა, ვარდისფერ სველ ცხვირზე ლოყა დაადო. კნუტმა თვალები დახუჭა, აკრუტუნდა.

– არ იტირო, ფისო. დედის დაკარგვა საშინელებაა. მე გიშველი. იცი, რა?! ახლა ჩემთან წაგიყვან, გაბანავებ, მერე თბილ, ტკბილ რძეში თეთრ პურს ჩაგიბუჟბუჟებ, გემრიელად გასაუზმებ, თოჯინის საბანს დაგახურავ, დაგაძინებ. გაიღვიძებ თუ არა, ამოგასვლეპინებ ტკბილ რძეს, დედასაც უსათუოდ გაპოვნინებ.

ის იყო, კნუტმა თვალები მილულა და ფშვინვა ამოუშვა, რომ გოგონას რაღაც ხმაური ჩაესმა – თითქოს ბურთი დახტა იატაკზე. სასწრაფოდ თვალი მოავლო ოთახს და... რას ხედავს: ღია სარკმლიდან ოთახში დედა კატა შემოპარულა და შეჰყურებს. სად იყო, სად არა, ჰოი, საოცრებავ, ახალგამოღვიძებული კნუტი შემოვარდა ოთახში – დედა-შვილი ერთმანეთს ჩაეხვია.

მერე იცით, რა მოხდა?! ამის შემდეგ დედა-შვილი გოგონასთან ცხოვრობდა, ბაღში ერთად სეირნობდნენ, ერთად უვლიდნენ ულამაზეს ყვავილნარს.

მხატვარი
როენა შელეგია

ახალი სახლი

მზია ჩხეტიანი

შარიშურობს ბურბუშელა,
მიდი-მოდის შალაშინი,
წიფლის მორი მურიკელამ
გააბრტყელა ლავაშივით.
– აბა, რა ვქნა, უსახლკაროდ
ზამთარს ვერ გადავურჩები...
მიეშველნენ ვარიკებიც –
მოიმარჯვეს ჩაქუჩები,
მოზომილად, კაკა-კუკით
აჭედებენ კოხტა ფიცრებს,

ყვინჩილებმაც ბირდაბირი
აამღერეს, ბანი მისცეს.
თუნუქი კი სახურავად
სულ ციცინით მოაქვთ ციცრებს...
ააშენეს, გადახურეს,
შეუღებეს კედელ-ჭერი,
მიალაგეს, მოალაგეს –
აციმციმდა ყველაფერი.
ულოცავენ მურიკელას:
ნუღარა გაქვს ზამთრის შიში,
ეს ახალი, კოხტა სახლი
მოიხმარე, ძმაო, ლხინში!

მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

უყურო ახალის

ანნა კანდელაკი

ნეტავ, ნიჟარაში
მართლა ისმის
ზღვის ხმა?

დათვებს მთელი
ზამთარი
რომ სძინავთ,
რა ესიზმრებათ?

ბებოებს სუსტი
ხელები აქვთ,
მაგრამ
თბილ რალაცებს
ქსოვენ.

სასაცილო ამბები

***

– მამ, მიყიდე რა დოლი?!

– რას ამბობ, სახლში ისედაც ყურისწამღები ხმაურია.

– გეფიცები, მიყიდე და როცა დაიძინებ, მარტო მაშინ დავუკრავ.

***

– გუკა, რა ისწავლე დღეს სკოლაში?

– წერა!

– როგორ, შენ ხომ სულ ორი დღეა სკოლაში წახვედი... და, რა დაწერე?

– არ ვიცი, ჯერ ხომ კითხვა არ მისწავლია.

***

– ოქროს თევზი რომ დაიჭირო, რას სთხოვდი?

– ვთხოვდი, რომ ლონდონი საფრანგეთის დედაქალაქად აქციოს.

– რატომ?

– გუშინ გეოგრაფიის მასწავლებელს ასე ვუპასუხე და ორიანი დამიწერა.

***

– რატომ გააცდინე გუშინ გაკვეთილები?

– ჩემს ძმას სიცხე ჰქონდა.

– მერე, შენ?

– მე დრო ვიხელთე და მისი ველოსიპედით ვისეირნე.

ბავშვებისთვის ბაზარი

დოდო-კესარია აბაშიძე

იპოვე ერთი წყვილი ხელთათმანი

მხატვარი ნატა კუცია

ბავშვი-ბავშვი ეფექტურ სასახლეში

„ამბავსაც“ ღიღეები ზეიმზე

თინათინ ჭეჭია

ძილისპიროული მოთხრობა

ძაღლი მურა ჩემი მეზობელი იყო, მინდოდა მეთქვა, რომ ის ჩემი ახლობლის, პატარა ლუკა სირაძის საყვარელი ლეკვი გახლდათ. ერთი წლის გახდა თუ არა, ყველა კბილი მოიცვალა და სკამის ფეხების, ცოცხის ტარის და სხვა ათასნაირი საოჯახო ნივთის ღრღნას თავი ანება. მის ასეთ გარდაქმნას, ასე ვთქვათ, მოჭკვიანებას, ყველა აღნიშნავდა და მურაც კუდის ქნევით დინჯად დაიარებოდა სამეზობლოში. ამასობაში ზაფხულიც დადგა. მურას საყვარელი ადგილი თეთრი თითა ყურძნის ტალავრის ქვეშ იყო, სადაც საგანგებოდ იდგა წითელი, ღრმა ჯამი, რაშიც მისთვის საჭმელს ყრიდნენ. ჰოდა, აქ იწყება ამბავი:

ერთ დღეს მძინარე მურას რაღაც წივწივი მოესმა. ცალი თვალი ნელა გაახილა და რას ხედავს: მის ცხვირწინ ტალავრის მაგიდაზე დამჯდარა დედა ბეღურა და მურას ჯამიდან ამოღებულ პურს ანამცეცებს. მურა ბეღურას იცნობდა – მათი ეზოს გადაღმა სუთიძეების ცაცხვზე ჰქონდა ბუდე, მაგრამ ასე ახლოს არასოდეს ენახა. ცოტა ხანი იფიქრა და გადაწყვიტა, რომ მეორე თვალი არ გაეხილა, რადგან მიხვდა, ბეღურას შეიძლებოდა შეშინებოდა. ამიტომ ის თვალიც დახუჭა, რომელიც ოდნავ ჰქონდა გახელილი. ამასობაში ბეღურამ პური დაანამცეცა და ცაცხვისკენ გაფრინდა. ასე რამდენჯერმე გაიმეორა და, როცა ნამცეცები გათავდა, მოსაღამოვდა კიდეც.

მურა ნამდვილად კმაყოფილი იყო თავისი საქციელით, ადგა, ერთი გაიზმორა და ქუჩისკენ გაემართა. ჭიშკარი წინა თათებით გააღო – გასეირნებას აპირებდა, მაგრამ უცებ ყურები ცქვიტა და იქვე უკანა ფეხებზე ჩაჯდა. დიდი ცაცხვის ხიდან ბარტყების წრიპინი და დედა ბეღურას დამრიგებლური ჟივჟივი ისმოდა. მურას, რა თქმა უნდა, ჩიტების ჟივჟივისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ეს ისეთი სასიამოვნო მოსასმენი იყო, გასეირნება დაუფიქრებლად გადადო. ცოტა ხანში დაღამდა კიდეც. ლუკამ მურას დაუძახა. მურა სახლში შემობრუნდა, ბებომ კი ლუკას უხმო.

დღე მიილია. ღამე მობრძანდა. ძილის ანგელოზებიც თეთრი, რბილი ფაჩუჩებით მოფრინდნენ და ყველას ტკბილად დაეძინა.

მხატვარი ანნა კანდელაკი

ბავშვთა ნახატების კონკურსის გამარჯვებულები

I

ლაშა თავგერიძე
VI კლასი
264 ხმა

ანასტასია გულუა,
I კლასი, 130-ე სკოლა
174 ხმა

II

ანანო გრიგოლია,
IX კლასი, 83 ხმა
შპს №1 სკოლა, ქუთაისი

III

რედაქციის რჩეული



ნინი ხამაშურიძე,
V კლასი, 17 ხმა
შპს №1 სკოლა, ქუთაისი

IV

ანიტა აზარიაშვილი,
III კლასი, 76 ხმა
შპს №1 სკოლა, ქუთაისი

ესმა ონიანი

ნერილი სიყვს



გამარჯობა, ძმაო ციყვო.
მოვიცალე, როგორც იყო,
ამ წერილის მოსაწერად.
ისე, როგორ მოგიკითხო?

როგორ მიდის ტყეში საქმე,
თუ ინახავთ საკვებს სადმე –
თხილს და კაკალს, ვიცი, ამ დროს
იმარაგებთ ზამთრის საზრდოდ.

ფიჭვი ისევ აბნევს გირჩებს?
სხვათა შორის, ამას გირჩევთ:
თუ გაკვნიტე დიდი თხილი
და აგტკივდა უცებ კბილი,

აიხვიე რამე თბილით,
დაიძინე ტკბილი ძილით.
სხვა, ჩვენს ამბავს თუ იკითხავ,
კურდღლურად ვართ, მუდამ ფხიზლად;

მართლა, დიდი სიყვარულით
მოგიკითხა ველის ვირთხამ.
სხვა ისეთი რა მოგწერო –
ჩამოფრინდა ერთი წერო,
ცალი ფეხი აიბზიკა
და უკბინა კიდეც ბზიკმა.

ოხ, ისეთი ჩხუბი ატყდა,
ვერ შევწყვიტეთ დავა, ვერა,
მაგრამ ყვავმა დაიჩხავლა
და დაგვფანტა უცბად ყველა.
წერო ახლაც ცალ ფეხზე დგას
და ქანაობს ნელა-ნელა.

მაშ, ნახვამდის, პასუხს ველი,

გკოცნის შენი ძმა
კურდღელი.

მხატვარი
თეა მიქაია

* * *

ჩემს ყურგრძელა ძმა კურდღელას
შორი ტყიდან გამარჯობა,
მენატრება თქვენთან ველზე
სტუმრობა და ნავარდობა,

ნაცნობების შემორბენა;
ბაჭიები ბე და ბენა
ალბათ, უკვე გაიზარდნენ –
ველარ ვნახავ გაისამდე.

როგორ არის ბუჩქი ბუცა,
შავთვალება ნუკრი ნუცა,
ნაკადული ნაზიბროლა
და მჩხავანა ყვავი კოლა?

ნაყოფები სცვივათ წაბლებს?
ექიმი თუ გაძლევთ წამლებს?
მუცელი რომ აგტკივდებათ,
მკურნალობა დაგჭირდებათ;

ან კომბოსტოს შეჭამთ მტვრიანს,
ან სტაფილოს მიწიანად,
ჩვენში დარჩეს, ზოგჯერ კაკალს
მეც მივირთმევ წიწვიანად.

რაღა გავაგრძელო ბევრი,
ახლა დაგემშვიდობები;

სულ იყავი ასე კარგად,
ასე ფხიზლად და კურდღლურად,
სიყვარულით, ნახვის ნატვრით,

შენი
ციყვი კუდფუმფულა.

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ღანგრეული ბუდეები

ვიღაც ღიპიანმა კაცმა ჩვენი სახლის პირდაპირ, ხუთსართულიან სახლზე მეექვსე სართულის დაშენება დაიწყო.

– ეტყობა, ფულიანი კაცია! – ამბობდა ნიკო პაპა და ნაღვლიანი თვალებით გასცქეროდა ჰაერში აფრენილ ბუდეებდანგრეულ მტრედებს, დასაჯდომი ადგილი რომ ვერ ეპოვათ. მუშები შენობის სახურავს შლიდნენ, ეზოში ჩამოჰქონდათ თუნუქის ფურცლები, დამტვრეული ფიცრები; ჰაერში იფანტებოდა მტრედების აწეწილი ბუდეები, ქარისგან სახურავქვეშ შეტანილი ძველი ჩალაბულა.

მე, ნიკო პაპა და ცისნამი – ჩემი და – ფანჯრიდან ვუყურებდით შეშფოთებულ მტრედების გუნდს, რომელშიც ორი ჩვენთან მოჩვეული მტრედიც ერია – დასხდებოდნენ ჩვენი ფანჯრის რაფაზე და ცისნამის დაყრილ საკენკს მიირთმევდნენ.

ახლაც გუნდს ორი მტრედი გამოეყო და ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა.

ცისნამი საკენკის მოსატანად გაიქცა. ჯამით სიმინდის ღერღილი მოიტანა და ფანჯრის რაფაზე დაყარა, მაგრამ მტრედები საკენკს არ მიეკარნენ.

– რატომ არ ჭამენ? – ცისნამიმ პასუხისთვის ნიკო პაპას შეხედა.

– ბუდეები დაუნგრიეს და საკენკის გუნებაზე იქნებიან? – თქვა პაპამ და ღრმად ამოიხვნეშა. შევხედე, სახე გამკაცრებოდა. ცაში მოლივლივე მტრედებს ნაღვლიანი თვალებით გასცქეროდა.

იმ დღის მერე სახლში იშვიათად ვხედავდით ნიკო პაპას – მარტო სადილად თუ გამოჩნდებოდა, დანარჩენ დროს სად იყო, არაფერი ვიცოდით.

თითქოს ჩვენც – მე და ცისნამიც დავავიწყდით, საღამ-საღამოობით აღარ გვიყვებოდა ზღაპრებს.

– ზვიად, იცი, როგორ მომენატრა ნიკო პაპას ზღაპრები? – მეუბნება ჩემი და.

– მეც მომენატრა! – ვთქვი. აღარ მინდოდა ეზოში ჩასვლა, სადაც მანქანებს სამშენებლო მასალა მოჰქონდათ და ხმაურით ცლიდნენ. იქ არც ბურთის თამაში შეიძლებოდა, არც ველოსიპედით სიარული.

– მე ვიცი, რატომ არის ნიკო პაპა ცუდ გუნებაზე! – მითხრა ჩემმა დამ.

– რატომ? – ჩავეკითხე.

– იმიტომ, რომ მტრედებს ბუდეები დაუნგრიეს.

– მართალია, მეც ეგრე ვფიქრობ! – ვთქვი და ამ დროს ვიღაცამ ზარი დარეკა.

მე და ცისნამი კარის გასაღებად გავიქეცით.

ღია კარში გაღიმებული ნიკო პაპა იდგა – ხელში ფიცრებისგან შეკრული მწვანედ შეღებილი სამტრედე ეჭირა.

– აი, თურმე რატომ მიდიოდი შინიდან ასე ხშირად, ნიკო პაპა! – ვთქვი და სახლის კარი ფართოდ გამოვაღე.

– გამოიცანი, სარდაფში სამტრედეს ვაკეთებდი!

პაპა ფანჯარასთან მივიდა. ჯიბიდან ჩაქუჩი და რამდენიმე ცალი ლურსმანი

ამოიღო და სამტრედე ფანჯრის გვერდით გარედან მიამაგრა.

– მოვლენ მტრედები? – იკითხა გახარებულმა ჩემმა დამ.

– მოვლენ და დაიბუდებენ კიდეც! – დარწმუნებით თქვა ნიკო პაპამ და სამტრედის კალთაზე სიმინდის ღერღილი დაყარა.

სად იყო და სად არა, ჯერ ერთი მტრედი მოფრინდა, მერე მეორე და ღერღილის აკენკვა დაიწყეს.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მტრედებო! – თქვა პაპამ და ფანჯარა მიხურა.

– რა კარგია! – შევძახეთ მე და ცისნამიმ.

გვიხაროდა, რომ ჩვენთან მოჩვეულ ორ მტრედს ბუდე ჰქონდა და მას ვერავინ დაუნგრევდა, ჩვენ კი, მე და ცისნამის, ნიკო პაპა ჩვეული ხალისით მოგვიყვებოდა საღამ-საღამოობით ზღაპრებს...

მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე

მიხეილ ხარიტონაშვილი

ბებერი ლომი

არწივმა ამცნო ფრინველებს:
დაბერებულა ლომიო,
ველარა მეფობს მხეცებში,
წაერთვა ძალა, ღონიო,
რამდენიც მტერს შეებრძოლა,
წააგო ყველა ომიო!
კაჭკაჭმა უთხრა: — არწივო,
თუმც არ გყავს თანასწორიო,
სიბერე შენც მოგერევა,
გაგთელავს ჟამი, დრონიო...
მოეშვი ლომის დაცინვას
და მოიკრიბე გონიო,
გამოცდილება დიდი აქვს
და ბევრიც განაგონიო,
ჯობს, მისგან ჭკუა ვისწავლოთ,
არც ერთს გვაწყენდა, მგონიო.

გამოცანები

არც ნაშენი პოშკებია
და არც ციხე-გალავანი,
შეხედავ და გეგონება
აქლემების ქარავანი.
(.....)

სიცივეში ნატრულობ,
როცა ცხელა კი არა,
გათბობს, ხანაც გატირებს
მუნჯი, თვალებბრიალა.
(.....)

მხატვარი
მალხაზ კუხაშვილი

რებუს-კროსვორდი „ქართული საბავშვო მწერლობა“





ამოხსენით რებუსი და მიიღებთ კროსვორდის ფერად სვეტში ჩასაწერ „გასაღებს“ — ქართველი საბავშვო მწერლის სახელსა და გვარს.

მოამზადა
ლელა ცუცქირიძემ

1. ხან ცხრა თავი აქვს, ხანაც ერთი აქვს, ვერ მოერია ნაცარქექიას;

2. მწვანეა და გრძელზე გრძელი, არ გეგონოთ ურჩხული, ლიანდაგებს მიუყვება ქოშინით და ჩუქჩუქით;

3. ღუნღულაა, გვათბობს, გვიცავს, გვაფარია, როცა გვცივა.

4. მოფარფატებს თეთრი ციდან, თეთრად ეფინება მიწას;

5. ზღვაშიც დადის, მდინარეშიც, არ აშინებს შტორმი, თქეში.

6. ლოლუას ჰგავს, ოღონდ გემრიელია, თათარისგან გაგვიკეთა ბებიამ;

7. კუზებში აქვს საკვები, თქვი, რა ჰქვია? . . .

8. ჭრელიცა აქვს, წითელიც და თეთრიც სიფრიფანა და ფარფატა ფრთები;

9. ტირის, ოღონდ ცრემლის ნაცვლად წვიმას აფრქვევს აცაბაცა;

10. უყვარს მურაბა, კანფეტი, ვაფლი, სახურავზე აქვს პატარა სახლი;

11. ზურგზე ადევს კოხტა ბინა, დასეირნობს . . .

კუდა-კუდა ამბები

მხატვარი ნატა კუცია

მთავარია მონდომება!

ISSN 0132-5965

9 770132 596009

მთავარი რედაქტორი: დოდო წივწივაძე
ნახატი ყდაზე: იულია ნიკოგოსოვასი
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
http://www.dila.ge, ელ-ფოსტა: **dila1904@yahoo.com,** facebook: **საბავშვო გამომცემლობა დილა**
ფასი: 2.50 ლარი

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

მწერალთა
სახლი